

**გენდერ-ლექსიკის ფსიქო-ლინგვისტური ასპექტები მდედრობითი  
სქესის პერსონაჟის მეტყველებაში  
(ამერიკული ანიმაციური ფილმის მიხედვით)**

**ლარიბაშვილი მანანა**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

**ლაზვიაშვილი შორენა**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

<https://doi.org/10.52340/idw.2021.514>

**აბსტრაქტი.** ზოგადად, ანიმაციური ფილმები მეტად საინტერესო რესურსებია, რომლის უმთავრესი დანიშნულება საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციაა. ამასთანავე, ანიმაციური ფილმებში უხვად ფიგურირებს კულტურული ელემენტები, რაც ქვეყნის თუ ერის იდენტობის საინტერესო ვიზუალიზაციას წარმოადგენს.

ანიმაციას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნიშანდობლივია აღვნიშნოთ ამერიკული ანიმაციური ხელოვნების ოქროს ხანა, რომელიც 1928 წლიდან იღებს სათავეს და 60-იან წლებამდე გრძელდება.

კვლევის მიზანია გენდერული, კერძოდ კი, მდედრობითობის გამომხატველი ენობრივი ასპექტების ლინგვისტური ანალიზი ამერიკული ანიმაციური ზღაპრის-„ამერიკული კუდი“, მიხედვით (რეჟისორი: ჯონ ბლუთის, 1986).

ნაშრომში, ძირითადად, გამოყენებულია კვლევის თვისებრივი, დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა, ლინგვისტური თვალსაზრისით, დაკვირვება მოგვეხდინა და დეტალურად გაგვეანალიზებინა მდედრობითობის ამსახველი ენობრივი ასპექტები ანიმაციურ ფილმში.

**საკვანძო სიტყვები:** ამერიკული კუდი, მდედრობითობა, გენდერ-ლექსიკა, ლინგვისტური ანალიზი, ფსიქოლოგიური, ლინგვისტური ასპექტები.

**შესავალი**

ენციკლოპედია „ბრიტანიკაში“ ანიმაცია მოხსენიებულია, როგორც უსულო საგნების გაცოცხლების ხელოვნება. ზოგადად, ანიმაციური ფილმები მეტად საინტერესო რესურსებია, რომლის უმთავრესი დანიშნულება საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციაა. ამასთანავე, მათში უხვად ფიგურირებს კულტურული ელემენტები, რაც ქვეყნის თუ ერის იდენტობის საინტერესო ვიზუალიზაციას წარმოადგენს. გვანცა კორტავას (2020: 9) მოსაზრებით, კინო და, შესაბამისად, ანიმაციაც სინთეზური ხელოვნებაა. მასში ერთდროულად მონაწილეობს ხედვითი, სიუჟეტური და მუსიკალური ელემენტები, რომლებშიც ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ხედვითი მომენტია, თუმცა, ეს არ გულისხმობს დანარჩენი ორი ფიგურის სრულიად უგულვებელყოფას. პირიქით, სრულყოფილებისთვის საჭიროა, სამივე ელემენტს გააჩნდეს მკაფიო ფუნქციები, რომლებიც ერთიან ჩანაფიქრში, ჩარჩოში იქნებიან მოქცეულნი.

ანიმაციას განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ნიშანდობლივია აღვნიშნოთ ამერიკული ანიმაციური ხელოვნების ოქროს ხანა, რომელიც 1928 წლიდან იღებს სათავეს და 60-იან წლებამდე გრძელდება.

**ლიტერატურის მიმოხილვა**

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ძნელად თუ მოიძებნება აკადემიური დონის ნაშრომი, რომელიც არკვევს და აანალიზებს ანიმაციური ფილმების კულტურულ, ეთნო თუ სოციო კულტურულ ასპექტებს. ერთადერთ რელევანტურ სამეცნიერო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს გვანცა კორტავას (2020) სადისერტაციო ნაშრომი „ფოკლორულ-ლიტერატურული მასალის ინტერპრეტაცია XX საუკუნის ქართულ ანიმაციაში“. აღნიშნული სადოქტორო შრომა, უმთავრესად, ემყარება იმის დადგენას, თუ რა მექანიზმებით ხდება ვერბალური ტექსტის ტრანსფერი ეკრანზე. კერძოდ, „შენარჩუნდა თუ არა მისი იდეური კონცეფცია ანიმაციაში, რა შეიცვალა ეკრანულ ვარიანტში, რა დაემატა, რა გამოაკლდა და, საერთოდ, როგორ მოახერხეს ანიმატორებმა მთავარი გმირების ეკრანულ სივრცეში გადატანა?“ (კორტავა, 2020:6). აღნიშნული შრომა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ძირითადი განვითარების საფეხურები განვლო ქართულმა ანიმაციამ და რა გამოწვევების წინაშე დგას ის სადღეისოდ. ნაშრომი გვთავაზობს ქართული ზღაპრების ანიმაციური ინტერპრეტირების ფართო აკადემიურ მსჯელობა-ანალიზს.

სამწუხაროდ, ლინგვისტური თვალსაზრისით განხილული სხვა ფუნდამენტური აკადემიური ნაშრომი პუბლიკაციების, წიგნებისა თუ სხვა სახით ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჯერჯერობით არ იძებნება.

აღნიშნული თემატიკის გარშემო არაერთი უცხოურ სამეცნიერო ნაშრომსა თუ პულიკაციაზე არის წვდომა შესაძლებელი, რომლებიც საინტერესო კვლევებსა თუ მიგნებებს გვიზიარებენ, ზოგადად, ფილმებისა თუ, კერძოდ, ანიმაციური ფილმების ლინგვო-კულტურული, ეთნიკური თუ სოციო-კულტურული ასპექტების შესახებ.

ლიტერატურათმცოდნე, კულტუროლოგი და სემიოტიკოსი იური ლოტმანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანიმაციას, როგორც ლინგვისტურ სისტემას. მისი მოსაზრებით, ანიმაციური ფილმი მხატვრული ფილმის ნაირსახეობას კი არ წარმოადგენს, არამედ ის ხელოვნების დამოუკიდებელ ფორმას ქმნის თავისი დამახასიათებელი არტისტული/სახელოვნებო ენით, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების ენისგან (Lotman 1981: 36–37).

მეტად საინტერესო კვლევას წარმოადგენს ფილარ გონსალეს ვერას (Vera, 2012:104-123) სამეცნიერო ნაშრომი „ანიმაციურ ფილმებში ლინგვისტური სტერეოტიპების თარგამანი“. ვინაიდან, ანიმაციური ფილმები კროს-კულტურული კომუნიკაციის ნაწილია და, ამავე დროს, იდენტობისა და კულტურული ასპექტების საინტერესო გამოხატულება, ავტორი თავის ნაშრომში წარმოგვიდგენს აღნიშნული საკითხების შესაძლო ინტერპრეტირების ვერსიებს თარგამანში.

ტელმა სოარესის (Soares, Telma O., 2017) მეტად საინტერესო შრომა ეხება ანიმაციურ ფილმებსა და ლინგვისტურ სტერეოტიპებს. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ასკვნის, რომ მიუხედავად ანიმაციური ფილმების გასართობი ხასიათისა, ისინი საზოგადოების ლინგვისტური იდეოლოგიის გამტარებლებისა როლში გამოდიან (Soares, Telma O., 2017: 2).

გენდერის საკითხთან მიმართებაში არანაკლებ საინტერესო მიგნებებს ვხვდებით დავისის (Davis, 2001) სადისერტაციო ნაშრომში - „Changes in Depictions of Femininity in Walt Disney's Animated Feature Films, 1937-1999“ (ცვლილებები მდედრობითობის გამოხატვაში უოლტ დისნეუს 1937-1999 წწ. ანიმაციური ფილმების მიხედვით), სადაც ავტორი საინტერესოდ აღწერს ამერიკელი ქალის იმიჯის ცვლილებას ანიმაციური ფილმებზე დაყრდნობით. მკვლევარს საანალიზო წყაროდ შერჩეული აქვს მხოლოდ ისეთი ანიმაციური ფილმები („ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „კონკია“, „მზეთუნახავი და ურჩული“ და სხვა), სადაც, უშუალოდ, ვხვდებით ქალ პერსონაჟებს.

საკმაოდ საინტერესოა ვანესა მატეას (Matyas, 2010) სამაგისტრო ნაშრომი „A Textual Analysis of Race and Gender in Disney Princess Films“ (რასისა და გენდერის ტექსტობრივი ანალიზი დისნეის ანიმაციური ფილმების მიხედვით), რომელშიც საინტერესოდ არს განხილული რასისა და გენდერის სტერეოტიპული ტენდენციები ტექსტობრივი ანალიზის დონეზე.

**მეთოდოლოგია**

კვლევის მიზანს წარმოადგენს გენდერული, კერძოდ კი, მდედრობითობის გამომხატველი ენობრივი ასპექტების ლინგვისტური ანალიზი ამერიკული ანიმაციური ზღაპრის „ამერიკული კუდი“ მიხედვით (რეჟისორი: ჯონ ბლუთის, 1986).

ნაშრომში, ძირითადად, გამოყენებულია კვლევის თვისებრივი, დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდები, რომლებმაც საშუალება მოგვცა, ლინგვისტური თვალსაზრისით, დაკვირვება მოგვეხდინა და დეტალურად გაგვეანალიზებინა მდედრობითობის ამსახველი ფსიქო-ლინგვისტური ასპექტები მდედრობითი სქესის პერსონაჟების მეტყველებაში. შესაბამისად, კვლევის შედეგად მოძიებული საანალიზო მასალები არის თვისებრივი ხასიათის, რომელიც იძლევა ანალიზის მეთოდის გამოყენებით ენობრივი ინტერპრეტირების საშუალებას. საანალიზო წყარო მთლიანად ეყრდნობა საზოგადოებისთვის თითქმის უცნობ, ანიმაციურ ფილმს „ამერიკული კუდი“ (რეჟისორი დონ ბლუთი, 1986).

### **ძირითადი ნაწილი**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევაში საანალიზო წყაროდ გამოყენებულია რეჟისორ დონ ბლუთის მიერ 1986 წელს გადაღებული ანიმაციური ფილმი „ამერიკული კუდი“.

სიუჟეტის მიხედვით, ებრაული წარმოშობის რუსი თავგები მაუსკევიჩები (Mousekevitz) მიემგზავრებიან ამერიკაში ემიგრაციაში, მას შემდეგ რაც კოსაკის დაჯგუფების წევრი კატები დაარბევენ სოფელს, სადაც ებრაული თავგების ოჯახი ცხოვრობს. ამერიკაში წასვლის მთავრი მიზანია თავისუფლებისა და სიმშვიდის ძიება.

გენდერული თვალსაზრისით, ანიმაციაში მთავარ ფიგურანტებად გვევლინებიან როგორც მამრობითი (ფეიველი, მამა ბერნარდ მაუსკევიჩი, პატოსანი ჯონ, ანტაგონისტი მოუ, ვირთხა ვორენი, ტონი ტოპონი), ისე მდედრობითი სქესის (დედა მაუსკევიჩი, ტანია - ფეიველის უფროსი და, ბრიჯიტი - ტონი ტოპონის მეგობარი გოგო) პერსონაჟი თავგები და ვირთხები.

გარეგნული აღნაგობის მიხედვით, მეტად საინტერესოა მასკულარულობის ამსახველი შტრიხები მამრობითი სქესის პერსონაჟებში. ისინი, უმთავრესად, ჩასხმული აღნაგობისანი არიან.





პერსონაჟების დიფერენციაცია, ასაკობრივი თვალსაზრისით, შემდეგ სახეს ატარებს: ახალგაზრდა პერსონაჟები გამხდრები და მომხიბვლელები არიან, მაშინ როდესაც ასაკოვანი თავგები ჩასხმული აღნაგობით არიან წარმოდგენილი.

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამერიკულ ანიმაციურ ფილმში მდედრობითი სქესის წარმომადგენელ პერსონაჟებზე დაკვირვება, მათი გარეგნული თუ შინაგანი მახასიათებლების იდენტიფიკაცია-ანალიზი გენდერულობის თვალსაზრისით; აგრეთვე, ამ პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვება და საინტერესო ფსიქო-ლინგვისტური ასპექტების გამოყოფა-ანალიზი.

ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს განასახიერებს ირლანდიური წარმოშობის ლამაზი ახალგაზრდა ქალი - ბრიჯიტი, რომელიც გამოირჩევა მეზრძოლი და მიზანდასახული ხასიათის თვისებებით. ამავდროულად, ბრიჯიტი მეტად მომხიბვლელი პერსონაჟია. მისი ხასიათის თვისებებია: კეთილი, მზრუნველი, სათნო, მომთმენი, მამაცი, მეგობრების დამხმარე, ლამაზი, გამხდარი, წითელი ხვეული თმით.

სრულიად შესაძლებელია, რეჟისორმა სპეციალურად შეარჩია მისი წარმომავლობა (ირლანდია), ვინაიდან ირლანდიელები, ოდითგანვე გამოირჩეოდნენ, როგორც მეზრძოლი ერი. ამის მიზეზი, შესაძლოა, ამ ერის განვლილი ისტორიაც იყოს.



მეამბოხე და მეზრძოლი სული ბრიჯიტის მეტყველებაშიც გამოსჭვივის:

- I ask you this. Are we going to stand by and let cats wreck our homes, our businesses and our lives? If we all got together, we could do something about the cats! (მე გეკითხებით! ნუთუ ასე განზე უდნა ვიდგეთ და მივცეთ კატებს გაანადგურონ ჩვენი სახლები, შეგვიშალონ ხელი საქმეში და გაგვნადგურონ ცხოვრება? თუ ყველა ერთად დავდგებით, კატებს გავეუსწორდებით!)

თანადგომისა და ერთმანეთის მხარდამხარ მოქმედების ინიციატივას ბრიჯიტი ხშირად ავლენს თავის მეტყველებაში:

- Wait a minute. Come back! Where are you going? Oh S-so, if we all got together, we could do something about the cats. (მოითმინეთ! დაბრუნდით უკან! სად მიდიხართ? თუ ყველა ერთად დავდგებით, კატებს გავუმკლავებით).

ბრიჯიტს მუდამ ამოდრავებს მეგობრებისა თუ უცხო ხალხის თანადგომის სურვილი, რასაც მის საუბარშიც ნათლად ვხედავთ:

- Oh, Fillie. Honest John, he's lost his family. By any chance, do you know the Mousekewitzes? (ოუ, ფილი! პატიოსანო ჯონ, ფილმა ოჯახი დაკარგა. შემთხვევით, ხომ არ იცნობთ მაუსკევიჩების ოჯახს?)

ბრიჯიტს ხიბლავს ამერიკა, რომელიც მის ცნობიერებაში თავისუფალი სიტყვის გამოხატვის შესაძლებლობების ქვეყანაა. მის თვალში, ეს ქვეყანა, ერთგვარად, თავისუფლების სავანეა, რაც ბრიჯიტის საუბრებშიც ხშირად გამოსჭვივის:

- This is America. Don't be afraid. Are you going to let those cats push you around? (ეს ამერიკაა. ნუ გეშინიათ! ნუთუ კატებს მისცემთ აბუჩად აგდების საშუალებას!)
- This is America. We have free speech. Cat, cat, cat! And double cat! ( ეს ამერიკაა. სიტყვის თავისუფლება გვაქვს. კატები, კატები, კატები! და კიდევ კატები! (ბრიჯიტი ამ სიტყვებს ხმამაღლა, უშიშრად წარმოსთქვამს)

არანაკლებ საინტერესო პერსონაჟს წარმოადგენს დედა მაუსკევიჩი. ის არის კეთილი, მოსიყვარულე, დამცველი, მგრძობიარე, მაგრამ, ამავე დროს, მკაცრი და ცოტა პესიმისტიც.

მიუხედავად იმისა, რომ მულტფილში დედა მაუსკევიჩი წამყვან როლს არ ასრულებს, ის ერთგვარად (ფსიქოლოგიური თვალსაზრისით) აბალანსებს მამის მშობლიური სიყვარულით გაჟღენთილ მსუბუქ ხასიათს. შესაბამისად, დედა, გაცილებით მკაცრია და გამოირჩევა დისციპლინარული სტილით. მთელი დღე სახლის საქმეებით არის დაკავებული და ყურადღებას აქცევს შვილებს. მამასგან განსხვავებით, ის უფრო პესიმისტი, მაგრამ, ამავე დროს, რეალისტია.



საინტერესოა მის მეტყველების ტექსტობრივი ანალიზი, რომელიც ნათლად ასახავს ზევით მოყვანილ მის ხასიათის შტრიხებს. მისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია მკაცრი ტონის დამადასტურებელი მოკლე და იმპერატიული შინაარსის წინადადებები:

- Tanya, Fievel? Will you stop that twirling, twirling? Uh, no. No more. That's it. Time for bed. Come. (ტანია! ფაველ! შეწყვიტეთ ტრიალი! მორჩით! ძილის დროა! წამოდით!)
- You have only one parent? (მხოლოდ ერთი მშობელი გყავს?)
- Shh! Don't say that word. Talk about something else. ( შშშ! ნუ იძახი ამას! სხვა რამეზე ისაუბრე!)
- You're talking nonsense. (სისულელეს ამბობ)

როგორც უკვე ავლნიშნეთ, დედა მაუსკევიჩი მკაცრი ხასიათის პიროვნებაა, რომლის საუბარშიც ირონია შეინიშნება:

- Fish? Lucky you didn't see some cats. (თევზი? გაგიმართლა კატებს რომ არ გადაეყარე)
- America! Another fairy tale. (ამერიკა! კიევ ერთი ახალი ზღაპარი)



ამავე დროს, იგი საკმაოდ პესიმისტია, რომელიც საუბარშიც ნათლად გამოსიჭვივის:

- Oh, it's the end of the world. (ოჰ, ეს ხომ სამყაროს დასასრულია)

დედა მაუსკევიჩის საუბარში ხშირად შევხდებით აგრამატიკულ ფორმებს. შესაძლებელია, რეჟისორს სპეციალურად აქვს აღებული ასეთი მეტყველება დედა მაუსკევიჩთან მიმართებაში, რომელიც ნათლად ადასტურებს, რომ იგი დიდი განათლებით არ გამოირჩევა, რადგან მისი მავარი საზრუნავი მხოლოდ ოჯახი, შვილები და საოჯახო საქმეებია.

- You have only one parent? (მხოლოდ ერთი შობელი გყავს?) ამ კითხვითი წინადადების სწორი აგრამატიკული ფორმულირებაა: Do you have only one parent?
- Ooh, you see? ანალოგიურად, მოცემული წინადადების სწორი აგრამატიკული კონსტრუირებაა: Ooh, do you see?

ანიმაციურ ფილმში „ამერიკული კუდი“ მდედრობითი სქესის მესამე პერსონაჟად გვევლინება ტანია (ფეიველის და), რომელიც მეტად კეთილი, მზრუნველი, ხალისიანი, ხუმარა და ლამაზი პერსონაჟია.



მიუხედავად იმისა, რომ ტანიას მეტყველება არც თუ ისე უხვი და მდიდარია ფილმში, ის, ძირითადად, ქმედებით გადმოსცემს საკუთარ ხასიათის თვისებებს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მშობლებისგან განსხვავებით, ტანია საკმაოდ რეალისტია. მას ღრმად სწამს, რომ მისი ძმა ცოცხალია და ოდესმე აუცილებლად მიაგნებს ოჯახი. ეს მის საუბარში აშკარად შეინიშნება:

- They changed my name to Tilly. Maybe they changed Fievel's name to Fillie. Come on, Papa. Just got to see. (სახელი შემიცვალეს და თილი დამარქვეს. იქნებ, ფეიველსაც შეუცვალეს სახელი. მოდი მამა მოვძებნოთ).
- Fievel, I knew you were alive. I knew it! (ფეიველ, ვიცოდი რომ ცოცხალი ხარ. ვიცოდი).

ამგავრად, კვლევის პროცესში მეტად საინტერესო აღმოჩნდა მდედრობითი სქესის ანიმაციურ პერსონაჟების მეტყველებაზე დაკვირვება და ფსიქო-ლინგვისტური ასპექტების იდენტიფიცირება-ანალიზი. დაკვირვებამ ცხადყო, რომ მდედრობითის ქესის პერსონაჟები საკუთარი ხასიათის თვისებებითა თუ ქმედებებით ქმნიანსაკმაოდ საინტერესო ფსიქოტიპებს, რომელთა მეტყველებაზე დაკვირვებას მეტად საინტერესო ლინგვისტურ მიგნებებამდე მივყავართ.

### ბიბლიოგრაფია:

1. კორტავა.გვ., (2020), ფოლკლორულ-ლიტერატურული მასალის ინტერპრეტაცია XX საუკუნის ქართულ ანიმაციაში, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი
2. Lotman, J., (1976), Semiotics of Cinema. Michigan Slavic Contributions 5. Ann Arbor: University of Michigan Press.

3. Vera, P., (2012), The translation of linguistic stereotypes in animated films: a case study of DreamWorks' Shrek and Shark Tale, *The Journal of Specialised Translation*, Issue 17 – January 2012, pp.104-123
4. Soares, Telma O.. (2017). *Animated Films and Linguistic Stereotypes: A Critical Discourse Analysis of Accent Use in Disney Animated Films*. In *BSU Master's Teses and Projects*. Item 53. Available at <http://vc.bridgew.edu/theses/53>
5. Davis, AM; (2001) *Disney's women: changes in depictions of femininity in Walt Disney's animated feature films, 1937-1999*. Doctoral thesis , University of London.
6. Matyas.V., (2010), *A Textual Analysis of Race and Gender in Disney Princess Films*, Master Thesis, McMaster University

## **Psycho-Linguistic Aspects of Gender Vocabulary in Female Characters (Based on the American Animated Movie)**

**Garibashvili Manana**

Iakob Gogebashvili State University, Telavi

**Lazviashvili Shorena**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Abstract**

In general, animated films are very interesting resources carrying the educational and upbringing functions. In addition, animated movies are rich in cultural elements that are an interesting visualization of the identity of a country or a nation.

Animation has a long history of development. It is noteworthy to mention that the golden age of American animated art originated in 1928 and lasted until the 60s.

The aim of the study is to provide a linguistic analysis of the linguistic aspects of gender, in particular femininity based on the American animated movie "American Tail" directed by Don Bluth in 1986 .

The paper mainly uses qualitative research, observation and analysis methods, which allowed us to observe and analyze in detail the psycho-linguistic aspects of femininity in the speech of female characters.

**Key words:** American Tail, animated movie, femininity, gender vocabulary, linguistic analysis, psychological, linguistic aspects.